საარჩევნო ადმინისტრაციის

2014 წლის სამოქმედო გეგმა

შესავალი

საარჩევნო ადმინისტრაციის 2014 წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ადმინისტრაციის მიერ 2014 წლისათვის განსაზღვრული მნიშვნელოვანი მიმართულებების ერთობლიობას, რაც ეფუძნება საარჩევნო ადმინისტრაციის 2012-2015 წლების სტრატეგიულ გეგმას. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებებით მუშაობა ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას, მათი მდგრადობის შენარჩუნებას.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ქვეყანაში ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. აქედან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ უშუალოდ ამ არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებული პრიორიტეტების ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაზეც მიმართულია საარჩევნო ადმინისტრაციის ძალისხმევა.

საფუძველი

საქართველოს ორგანული კანონით "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" განსაზღვრულია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული და ყოველწლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცება. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 14 მარტის #38 განკარგულებით დამტკიცდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2012-2015 წლების სტრატეგიული გეგმა.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2014 წლის სამოქმედო გეგმა შედგენილია როგორც ცესკოს, ასევე ცესკოს სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, მრავალჯერადი განხილვებისა და დისკუსიების საფუძველზე, რაც ადასტურებს იმას, რომ ამ პროცესის ყველა მონაწილე იღებს კონკრეტულ პასუხისმგებლობას საერთო შედეგის მისაღწევად.

სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ერთგვარ „გუნდურ ხელშეკრულებას", რომლითაც პროცესის მონაწილეები თანხმდებიან, თუ რა პრიორიტეტული მიმართულებებით უნდა იმუშაოს ცესკომ მომავალ წელს და როგორ გადაანაწილოს არსებული რესურსი ამ მიმართულებებზე მაქსიმალური ეფექტურობით.

საარჩევნო ადმინისტრაციის მისიის, სტრატეგიული მიზნების მიღწევასთან ერთად, სამოქმედო გეგმის შემუშავება ემსახურება 2014 წლისათვის საარჩევნო ადმინისტრაციის ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის ხელშეწყობას, რადგან სამოქმედო გეგმა გვიჩვენებს, თუ რა ძირითადი ღონიძიებების დაფინანსებისთვის უნდა მიიმართოს საბიუჯეტო სახსრები.

სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია საარჩევნო ადმინისტრაციის გასული წლების პილოტური სამოქმედო გეგმების შედგენისა და შესრულების თავისებურებები. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებები იშლება საარჩევნო და არასაარჩევნო პერიოდების კონკრეტულ აქტივობებად.

1. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მიზნად ისახავს, გამჭვირვალობის, საჯაროობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვით, ჩაატაროს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც იქნება გამორჩეული დემოკრატიულობის მაღალი ხარისხით, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ექნება თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება და სრული ნდობა შედეგების მიმართ.

არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, ცესკოს პრიორიტეტები იქნება:	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი	რესურსი / პასუხისმგებელი
ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების გამო საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი პროცედურების მოქმედ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა					იურიდიული დეპარტამენტი
ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალური ჩართულობის, საზოგადოებაში საარჩევნო ადმინისტრაციის ცნობადობის გაზრდისა და ნდობის განმტკიცების მიზნით ეფექტური საიმიჯო კამპანიის წარმართვა					საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ლოჯისტიკური უზრუნველყოფა არჩევნების მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის, ამ კუთხით არსებული რესურსების და ინფრასტრუქტურის მაქსიმალური გამოყენება					დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი საორგანიზაციო დეპარტამენტი ადმინისტრაციული დეპარტამენტი საოლქო საარჩევნო კომისიები
საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მიერ საარჩევნო პროცედურების ცოდნის ამაღლების მიზნით საარჩევნო ციკლის მართვის სახელმძღვანელო ინსტრუქციების შექმნა/განახლება					სწავლების ცენტრი იურიდიული დეპარტამენტი

არჩევნებში ჩართული მხარეების არჩევნების პროცედურული საკითხებისა და საარჩევნო პროცესში მათი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირებულობის მიზნით, დამხმარე სახელმძღვანელოების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება					სწავლების ცენტრი იურიდიული დეპარტამენტი
საოლქო და საუბნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება					სწავლების ცენტრი
საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის შერჩევის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება					სწავლების ცენტრი
საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებისთვის განსახორციელებელი სამუშაოების ეფექტიანად შესრულებისთვის და ცესკოს მხრიდან საარჩევნო ოლქებში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის საარჩევნო ციკლის მართვის ელექტრონული სისტემების მართვა/ განახლება					საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
კრიზისული სიტუაციებზე დროული რეაგირების, საარჩევნო რისკების განსაზღვრის და მათი თავიდან აცილების მიზნით რისკების მართვის სისტემის დანერგვა					დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი საორგანიზაციო დეპარტამენტი
ცესკოს კონტაქტ ცენტრის ფუნქციონირება					კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტი
კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფა					ადმინისტრაციული დეპარტამენტი სწავლების ცენტრი

2. საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზაცია

ცესკო თანამედროვე ტიპის საჯარო დაწესებულებაა. იგი ორიენტირებულია ჩართულ მხარეებთან განავითაროს პარტნიორული და პროაქტიული ურთიერთობა, განამტკიცოს საზოგადოების ნდობა არჩევნების მიმართ. აღნიშნული მიიღწევა მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურით, მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებით, ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსის განვითარებით, საზოგადოებაში საარჩევნო ადმინისტრაციის ცნობადობისა და პოზიტიური იმიჯის შექმნით. საარჩევნო ადმინისტრაცია ზრდის საკუთარი დამოუკიდებლობის ხარისხს რესურსების სტაბილურობით, პერიოდულად წარუდგენს საზოგადოებას ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემდეგ საკითხებს:	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი	რესურსი / პასუხისმგებლი
საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტურობის ზრდისა და მისი სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მართვის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის წარმართვა სამოქმედო გეგმებისა საფუძველზე; ინსტიტუციური მეხსიერების შექმნა					ყველა დეპარტამენტი
სტრატეგიაზე, სამოქმედო გეგმებზე დაყრდნობით საარჩევნო ადმინისტრაციის პროგრამული ბიუჯეტირების სისტემის დანერგვა, საბიუჯეტო სახსრების ეფექტურ ხარჯვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა					დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი
ცესკოს სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის რეგიონული კოორდინატორების, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით პერიოდული ანგარიშგების სისტემის დანერგვა					დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი საორგანიზაციო დეპარტამენტი
საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით განგრძობითი პროფესიული სწავლებების/ტრენინგების ჩატარება; საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მუშაობის შეფასების სისტემის დანერგვა და ამის საფუძველზე წახალისების სისტემის ჩამოყალიბება; გუნდურობის გაძლიერება					ადმინისტრაციული დეპარტამენტი

საარჩევნო ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება; საოლქო საარჩევნო კომისიების/რეგიონული რესურს ცენტრების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საჭიროების შემთხვევაში ახალი ოფისების მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად					ადმინისტრაციული დეპარტამენტი დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი საორგანიზაციო დეპარტამენტი
თანამედროვე ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენება შიდა კომუნიკაციისთვის, დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისთვის; საარჩევნო ადმინისტრაციის საინფორმაციო-ტექნოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება; სხვადასხვა პროგრამული საშუალებების შექმნა/დახვეწა					საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
საარჩევნო ადმინისტრაციის იმიჯის განმტკიცებისთვის თანმიმდევრული საიმიჯო კამპანიის წარმართვა					საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების, მასში თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინების, საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნქციონირებისა და საარჩევნო პროცესის მუდმივი სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება					იურიდიული დეპარტამენტი
საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში საარჩევნო კულტურის ამაღლების მიზნით საგრანტო კონკურსების ორგანიზება, არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემა					საგრანტო კომისია სწავლების ცენტრი

3. დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია

საარჩევნო ადმინისტრაციისთვის პრიორიტეტულია არჩევნებში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობა. მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების შეფასებები და მოსაზრებები საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ, მათი ინფორმირება მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების, საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, მათთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება დაუყოვნებლივ. საარჩევნო ადმინისტრაციისა და დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობა ემყარება ურთიერთპატივისცემის პრინციპს.

აქცენტებს შემდეგ მიმართულებებზე გავაკეთებთ:	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი	რესურსი / პასუხისმგებლი
საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ საერთაშორისო სადამკვირვებლო, საარჩევნო თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების უკეთესად ინფორმირების მიზნით სამმხრივი სამუშაო ჯგუფის (ადმინისტრაცია/არასამთავრობო/ საერთაშორისო ორგანიზაციები) რეგულარული შეხვედრების გამართვა					საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი
საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობასთან დაკავშირებით ჟურნალისტთა უკეთესად ინფორმირებულობის მიზნით, მედიასაშუალებებთან აქტიური თანამშრომლობა, რეგულარული ბრიფინგების და პრესკონფერენციების გამართვა, საზოგადოებისთვის მაქსიმალურად დეტალური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება					საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
პოლიტიკური პარტიებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდების მიზნით, სამმხრივი რეგულარული შეხვედრების ორგანიზება (ადმინისტრაცია/პარტიების წარმომადგენლები/საერთაშორისო ორგანიზაციები)					საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი

საერთაშორისო ორგანიზაციების და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით რეგულარული შეხვედრების გამართვა					საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
დაინტერესებულ საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, მათთან რეგულარული შეხვედრების/კონსულტაციების გამართვა საარჩევნო საკითხების ორგანიზებასთან დაკავშირებით					საორგანიზაციო დეპარტამენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი
საარჩევნო პროცესის მუდმივი დახვეწისა და მსოფლიო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობა, მათი საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის დანერგვა					ყველა დეპარტამენტი
საარჩევნო ადმინისტრაციის ვებ-გვერდის, როგორც მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არხის, განახლება მუდმივ რეჟიმში					საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

4. ინფორმირებული ამომრჩეველი

საარჩევნო ადმინისტრაცია მიზნად ისახავს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ობიექტური და სანდო ინფორმაცია დროულად მიეწოდოს ამომრჩეველს და არ ატარებდეს აგიტაციის ხასიათს, ხელი შეუწყოს ამომრჩეველთა საარჩევნო კულტურის ამაღლებას, სამოქალაქო აქტივობის ზრდას და თავისუფალი არჩევანის გაკეთებას. ამისათვის ცესკო იყენებს ყველა თანამედროვე ხელმისაწვდომ ინსტრუმენტს, მათ შორის, ცესკოს ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელებს, ყველა სახის მედიასაშუალებას, სამოქალაქო განათლებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საინფორმაციო რესურსებს. საარჩევნო ადმინისტრაცია მუდმივად ახდენს ამომრჩევლის ყველა ჯგუფისათვის სპეციფიკური თემატიკის იდენტიფიცირებას და ზუსტი გზავნილების შემუშავებას, რომელიც საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებას უკავშირდება.

ამ მიზნების მისაღწევად ცესკო განსაზღვრავს შემდეგ მიმართულებებს:	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი	რესურსი / პასუხისმგებელი
ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის საინფორმაციო კამპანიისა და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება					სწავლების ცენტრი
ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების საარჩევნო პროცესში აქტიურად ჩართვის მიზნით სხვადასხვა პროექტების განხორციელება					კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტი
გენდერული საკითხების გათვალისწინება საქმიანობის წარმართვისას; არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მაქსიმალურად დეტალური და სრული ინფორმაციის მიწოდება საარჩევნო პროცესში გენდერული ბალანსის დაცვის საკითხებზე					გენდერული საკითხების კომისია კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტი
ახალგაზრდა ამომრჩეველის (რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში) ინფორმირება არჩევნებში მათი აქტიური ჩართულობის მიზნით					კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტი სწავლების ცენტრი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემების იდენტიფიცირება და მათი საჭიროებების გათვალისწინება; სამოქალაქო აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის ხელშეწყობა, ინფორმირება საარჩევნო პროცესის შესახებ					კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტი

დასკვნა

საარჩევნო ადმინისტრაციის 2014 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებები გამომდინარეობს არსებული რეალობიდან და მათთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება ხელს უწყობს საარჩევნო ციკლის მდგრადობას, ადმინისტრაციის წინაშე საარჩევნო და არასაარჩევნო პერიოდებში არსებული შემდეგი ამოცანების გადაჭრას: დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზაცია, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა, ამომრჩეველთა ინფორმირება.

აუცილებელია პერიოდულად განხორციელდეს სამოქმედო გეგმის შეფასება, გაკეთდეს ანალიზი იმისა, თუ რა კონკრეტული აქტივობები განხორციელდა, რა მიღწევები და ნაკლოვანებები შეინიშნებოდა სამოქმედო გეგმის რეალიზაციის პროცესში. ასევე, საჭიროა განხორციელდეს გავლენიანი საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში ასახული დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძვლიანი ანალიზი საარჩევნო პროცესისა და ადმინისტრაციის ფუნქციონირების შესახებ. მნიშვნელოვანია მიღებული გამოცდილება გამოყენებულ იქნას როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის პრიორიტეტული მიმართულებების გადახედვის და სამოქმედო გეგმების ახლებურად ფორმირების საფუძველი.